მაისი

MAI

MAI

ფოტოპლაკატი ნ. მალაზონიასი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული

მარადი სიმაისეა
ჩვენი ქუჩა და შენობა
და სიხარულია,
როგორც ტყის ფოთოლფენობა.

გალაკტიონი

8

გამოცემის 51-ე წელი, (№ 1426). აპრილი. 1974. ფასი 20 კაპიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ზ. კაპანაძისა

— მიშველეთ, გატონო ვახტანგ, თბილისში არ მწერენ!
— დაარსების დროს გეთხოვა, იქით გეხვეწებოდით!

— ეს მასწავლებელი ამ ბავშვებს გაკვთილს არ უხსნის?
— ყველა მასთან ემზადება სახლში და ერთსა და იმავეს ორჯერ ხომ არ ასწავლის!

„ქართული ყვავილის“ ეპიდემია

„ქართული ყვავილის“ ეპიდემია დიდხანს მძვინვარებდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

დაავადებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, დიდ ქალაქებში. მიუხედავად მრავალგზის ჩატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებებისა, ეპიდემიის ვირუსი ახლაც ახერხებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გასვლას.

ეპიდემიის გამომწვევი ბაცილებიდან გავრცელების ყველაზე ფართო მასშტაბით ხასიათდება „ბაცილუს მიმოზუს“ და „ბაცილუს მიხაკუს“, რომელთა ძირითადი გადამტანებია მაწანწალა, სინდისგარეცხილი და თავმოყვარეობადაკარგული პარაზიტები.

პარაზიტები თვალითხილული, ფილტრში გამავალი ცოცხალი ორგანიზმები არიან. ისინი ჩვეულებრივი ადამიანებივით მრავლდებიან, სწრაფად ვრცელდებიან. მათ გავრცელებას ხელს უწყობს „ხელის ჭუჭყი“. „ხელის ჭუჭყი“ კი მანამდე არ კარგავს პარაზიტების გავრცელების უნარს, სანამ სინდისის გარეცხვის მაგიერ, ხელის ჭუჭყს საბოლოოდ არ მოვიცილებთ თავიდან.

„ქართული ყვავილის“ ეპიდემიის აღმოსაფხვრელად ჩვენი რესპუბლიკის „სანეპიდსადგურმა“ უნდა ჩაატაროს შემდეგი პროფილაქტიკური ღონისძიებანი:

1. რესპუბლიკის სოფლებისა და გარეუბნების მესვეურთ დაევალოთ „ქართული ყვავილის“ გადამტანი პარაზიტების გამოჩენისთანავე აცნობონ სათანადო დაწესებულებებს, რათა მიღებულ იქნეს სასწრაფო ზომები „დეზინფექციისა“ და „აცრების“ ჩასატარებლად.

2. რესპუბლიკის საზღვრებთან უნდა დაიდგას პარაზიტგაუმტარი ახალი „ფილტრები“ (ძველი ფილტრები გაცვდა).

3. „სანეპიდსადგურის“ ზოგიერთმა მუშაკებმა თვითონაც უნდა დაიბანონ ხელები (მოიცილონ „ხელის ჭუჭყი“) და სუფთა ხელითა და სინდისით აკეთონ მინდობილი საქმე.

ექიმის რჩევა ჩაიწერეს
მიხაკო ყოჩიშვარდას ძე
მიმოზაშვილმა და ნიკოლოზ
იოსებიძემ



ნახ. ჯ. ლოლუასი

— *ჰე, ბიჭო, სანამ მწვანე სინათლეა, გავძვრეთ, თორემ დავრჩებით გადაუსვლელი!*

მეძრთამის აღსარება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრ დუქანში ღვინო მისვამს,
ქრთამიც ბევრი ამოღია,
თავიც გამიმდიდრებია,
მცხეთას სახლიც ამიგია.
ბინაც გამიდიდებია,
სხვაზე ბევრჯერ გამიცვლია,
მეზობლები, ქვრივ-ობლები
უბინაოდ დამიყრია.
„დიდი კაცის“ დახმარებით
კიბეებზე ამივლია,
სკამიც მომიპოვებია,
ტელეფონიც დამიდგია,
კიდეც გავდიდკაცებულვარ,
ფეხით აღარ გამივლია,
მეგობარი ვერ მიცვნია
და უსალმოდ დამიგდია.
დოქტორი და პროფესორი
არაფრად არ ჩამიგდია.
დამიბარეს, დამიჭირეს:
რატომ ქრთამი აგიღია?
რატომ გადიდკაცებულხარ?
ოფლი რატომ არ გიღვრია?
სასახლე და აგარაკი
რა სახსრებით აგიგია?

. . . . . .

ახლა ვზივარ გალიაში,
ისე, ჩემზე ახი კია!

ბრამიტონ კვიჟინაძე

თვითნებური მინაშენი და შვიდწლიანი ომი



კარგ მეზობელთან ყოფნას ცხოვრება კი არა, ნეტარება უნდა ერქვას. სწორედ ასეთი ნეტარებით ცხოვრობდნენ თბილისში, ათარბეგოვის ჩიხი № 12-ში კოჭლამაზაშვილები და გაბაძეები. დღე ერთი იყო და მიკითხვ-მოკითხვა ათასი, სალამ-კალამი, სიტკბო და სიკეთე. როდესაც კოჭლამაზაშვილებმა ძველი ბინა დაანგრიეს და ახალი ორი ოთახის ფართობი 45 კვ. მეტრამდე გაზარდეს, გაბაძეებმა, როგორც კეთილ მეზობლებს შეჰფერით, ეზო-კუთხე დაულოცეს და მრავალჟამიერზე ბანი უთხრეს. მაგრამ, როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო, კოჭლამაზაშვილებმა ახლა სამზარეულო, საპირფარეშო და აივანიც მოისურვეს.

— თქვენი აივანი ჩემი ოთახის ერთადერთ ფანჯარას დააბნელებს! — უთხრა გაბაძემ ბ. კოჭლამაზაშვილს.

ბიძინა კოჭლამაზაშვილმა ყურად არ იღო კარის მეზობლის თხოვნა და მშენებლობის ტემპი კიდევ უფრო გაზარდა. ორიოდ დღეში გაბაძეების ფანჯარას თავისი თათარიახნი აივანი, ყოველნაირი ნებართვის გარეშე, ძაბრის ქუდივით ჩამოაფხატა თავზე და დაიწყო ის ომი, რომელსაც ახლა სასამართლოებში შვიდწლიან ომს ეძახიან.

პირველად საქმე 1968 წლის 23 აპრილს კალინინის რაისახალხო სასამართლომ განიხილა, დეტალურად შეისწავლა შექმნილი მდგომარეობა და კოჭლამაზაშვილის მოქმედება უკანონოდ ჩათვალა. სამაგიეროდ სახალხო სასამართლოს დადგენილება ბიძინამ არაფრად არ ჩათვალა.

უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიამ 1968 წლის 4 ივნისს განჩინებით № 1198 სწორად ჩათვალა კალინინის სასამართლოს გადაწყვეტილება და ურჩი მოხალისე მშენებელი აიძულა უნებართვოდ აშენებული აივანი დაენგრია.

დაინგრა უნებართვო მინაშენი და ორ ოჯახს შორის შავმა თუ არა, ჭრელმა კატამ მაინც გაირბინა. თუმცა სადავოც აღარაფერი იყო. ასე იყო თუ ისე, ჩხუბის ხმა აღარ გამოდიოდა ათარბეგოვის ჩიხიდან.

გაირბინა ხუთმა წელმა. მოისვენეს მოსამართლეებმა, სახალხო მსაჯულებმა, პროკურატურის მუშაკებმა და მდივნებმა, სამელნეებმა და ქაღალდის ფურცლებმა. გაიწმინდა აღმასკომის, ექსპერტის, მილიციის ატალახებული ოთახები, მაგრამ ბ. კოჭლამაზაშვილს 1972 წელს ისევ მოუარა აივნის აშენების ხუშტურმა და დანგრეულის ადგილზე ერთ დღეს ყვავის ბუდესავით მიაკრა აივანი.

კალინინის სახ. რაიონის რაისაბჭოს აღმასკომმა, პროკურატურამ, ცუდად ინიშნა კოჭლამაზაშვილის მიერ ბრძოლის განახლება და მოთხოვეს უკანონო, უნებართვო მინაშენის დანგრევა, მაგრამ ბიძინა კოჭლამაზაშვილმა ბრძოლის სტრატეგიული გეგმა შეცვალა — გაღმა შეედავა, და 1973 წელს იმავე სასამართლოში განცხადება შეიტანა გაბაძის ოთახის ერთადერთი ფანჯრის (რომლის გულისთვისაც 1968 წელს კოჭლამაზაშვილებს აივანი დაუნგრიეს) ამოსაქოლად.

ისევ გაივსო ქაღალდებით საქმე, ისევ გამოიყო კომისია, მოხდა ადგილობრივი დათვალიერება, დაიკითხნენ მოწმეები, ამეტყველდნენ ძველთაძველი საბუთები და დადგინდა, რომ „სადავო“ ფანჯარა ჯერ კიდევ 1937 წელს ყოფილა გამოჭრილი სახლის ძველი მეპატრონის სხირტლაძის მიერ და რომ „აღნიშნული ფანჯრის ამოქოლვით ბნელდება მოპასუხის ოთახი და ხელოვნური განათების გარეშე იქ ცხოვრება შეუძლებელი ხდება“. ამიტომ და იმიტომ კოჭლამაზაშვილს უარი ეთქვა სარჩელზე.

თითქოს დღესავით ნათელი გახდა ყველაფერი, თითქოს გაუგებრობის ნატამალიც არ უნდა შერჩენოდა საქმე № 2/130-ს, მაგრამ ააგდო ადვოკატმა ქვა და თავი შეუშვირა კოჭლამაზაშვილმა. უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის კოლეგიამ თავის 1973 წლის 4 აგვისტოს № 3029 განჩინებით ძალაში დატოვა სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება და ქვა ქვაზე არ დაუტოვა კოჭლამაზაშვილის უსაფუძვლო სარჩელს. დამთავრდა... თუმცა არა, უმაღლესმა სასამართლომ თავის იმავე წლის 5 ნოემბრის № 4-გ-828 წერილით შეაჩერა თვითნებური მინაშენის დანგრევის ისედაც გაჭიანურებული საქმე და 21 დეკემბერს № 281 დადგენილებით, 1972 წელს უნებართვოდ და თვითნებურად მიშენებული აივანი კი არა, 1937 წელს გამოჭრილი ბნელის გამნათებელი ფანჯარა გახადა ძიებისა და შესწავლის საგნად.

შვიდწლიანი ომი გრძელდება. ალბათ კვლავ საჭირო გახდება ამ ერთი თვითნებური მინაშენისათვის მოსამართლეთა, პროკურორთა, ადვოკატთა, მდივანთა, მოწმეთა, კომისიათა, ექსპერტთა ხელმეორედ შეწუხება და დროის უსაფუძვლო ფლანგვა. თუმცა რა მოხდა, ამის გარდა ისედაც თავზე საყრელადაა ჩვენს სახალხო სასამართლოებში საქმეები, რომლებიც, ჩიტის არ იყოს, ბდღვნადაც არ ღირან.

ვ. ქრაგველი

შურისძიება

მეგობარი შემხვდა. შეჭიგჭიკებული იყო. დაიწყო და აღარ გაათავა ლაპარაკი. ხის ფოთლებიდან ვარსკვლავებამდე ავიდა. ნეტავ, ან წერტილი იცოდეს, ან მძიმე! ან ამოსუნთქვას მაცდიდეს, ან ჩასუნთქვას! დამაყენა ამ სიცხეში კედელთან და ვატყობ, ჩემი მშველელი ღმერთიც აღარ არის. მე მარტო თავს ვუქნევ, რამდენჯერაც ხელი გავაშვებინე, — იმდენი: „დამაცადე, ჯერ ჩემი აყრია წისქვილსაო“. სამი საათი გახურებულ კედელს ვიყავი მიკრული და ვუსმენდი ათას აბდაუბდასა და სისულელეს. როცა ცუდად გახდომა დავაპირე, მეგობარი არ დაიბნა: ერთი მეგობრული ალიყური მითავაზა და გამომაფხიზლა... „აბა, აბა, ეგეთები არ იყოსო“. ბოლოს მკითხა: „ერთი კვირაა, რაც გაგიკეთეს? არა? ძნელია ამოჭრა? არა? შენმა ქირურგმა მითხრა, ჯერჯერობით, მაგის ლაპარაკი, დალევა და ცხარე საჭმლის ჭამა არ შეიძლებაო. მეც ამიტომ შეგირჩიე ეს დღე. ერთი კვირა კიდევ დაისვენებს ქვეყანა შენგან. დიიაახ!

ვეძნელეს? აი, ეგრე ძნელია რო დალეკ და აგეშლება ლაპარაკის საღერღელი, ჩართავ და გამორთვა აღარ იცი... ახლა შენ ჩემი აუდიტორია ხარ. მეც ეგრე იძულებით გისმენ ხოლმე და მარტო მე კი არა... რაკი შენ გლანდები ახლახან ამოიჭერი, ვიცი, ჯერ ვერ ილაპარაკებ და ამიტომ შეგირჩიე ეს დრო... როგორია, ჰა?“

იმის მერე მეგობარს ნასვამი აღარ ვუნახავარ და, საერთოდ, ლაპარაკსაც მოვუკელი.

შოთა ხოდაშნელი

სად დავეძებთ...

— შვილო, ნახე ყველა მშობელს ხედავ — ბავშვები — ცეკვაზე, სიმღერაზე, ინგლისურზე... მოდი, ჩვენც მოვამზადოთ ბავშვი მუსიკაში, სიარული შორს არ დაგვჭირდება, ოღონდ მეცადინეობას სხვათა-შორისი ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. — უთხრა ბებიამ დედაჩემს.

— ამაზე მეც ბევრი ვიფიქრე. ოღონდ ჩვენს მეზობელ ფაციასთან არ მიიყვანო არავითარ შემთხვევაში!

— რატომ, შვილო?..

— მასთან არ მინდა. მე ახლა არა მცალია და შენ წაიყვანე. მისამართს მოგცემ, ოღონდ არ უთხრა, რომ მე გაგგზავნეთ, არც ის უთხრა, რომ ჩემი შვილია, თორემ ფულს არ აიღებს.

მე და ბებია აღნიშნულ მისამართზე მივედით. მასწავლებელი სახლში დაგვხვდა, მაგრამ ჩემს აყვანაზე უარი თქვა. ბევრი ბავშვი მყავსო. მაშინ ბებიამ სხვა მასწავლებელთა მისამართები სთხოვა.

— შაშვაძე კარგი პედაგოგია, — გვირჩია მან. იმ სხვამაც სხვასთან გაგვაგზავნა და ა. შ. ერთი კი იყო, შაშვაძეს ყველა ასახელებდა.

სახლში გვიან საღამოს დაებრუნდით, დედა შინ დაგვხვდა.

— რა ჰქენით, ნახეთ ვინმე? — გვკითხა დედამ.

— არა, შვილო, ვისთანაც კი ვიყავით, ყველამ შენთან გამოგვგზავნა, ნახიბროლა შაშვაძეზე უკეთ ვერავინ მოამზადებსო.

ტარიელ ზანგურაშვილი

იანოშ ოსენკა

დირექტორის კაცი

— დაბრძანდით, პან პაჯზერეკ!..

პაჯზერეკი დაჯდა.

— რა არის ახალი? — ჰკითხა დირექტორმა.

პაჯზერეკი მოიღუშა.

— კამინსკი ამბობს, პან დირექტორი იდიოტიაო! — თქვა მან მოწიწებით. შემდეგ თვალები დახარა და გაჩუმდა.

— კიდევ რა?

— დანარჩენებიც ამას იმეორებენ. სკოვორონსკი ამტკიცებს. პან დირექტორი ხრიკებს აბამსო, თითქოს თქვენს ხელმძღვანელობაზე რაღაც საჩივრებს აგროვებთ. ვრონსკი პან დირექტორს რეგვენს, სადისტსა და ღორს უწოდებს.

— როგორა თქვით? — დაინტერესდა დირექტორი. — კარგად გაიხსენეთ!

პაჯზერეკმა თვალებზე ხელი აიფარა და ერთ წამს ჩაფიქრდა.

— არა, — თქვა მან დაფიქრების შემდეგ, — თუ ზუსტად ვიტყვით, მან პან დირექტორს რეგვენი, სადისტი და ბინძური ღორი უწოდა.

— რატომ ბინძური? — შეწუხდა დირექტორი.

— რა ვიცი, — მიუგო პაჯზერეკმა მხრების აჩეჩვით, — მეც მიკვირს.

დირექტორმა მაგიდაზე თითები ააკაკუნა.

— შემდეგ?

— პავლიცკი პან დირექტორს სულელად თვლის, — განაგრძო მოხსენება პაჯზერეკმა, — ვალიგურსკიმ ასე თქვა პან დირექტორზე. — პაჯზერეკმა ბლოკნოტში ჩაიხედა, — ტუტუცი, მამაძაღლი და თაღლითი...

— ცოტა ჩუმად ილაპარაკეთ, თუ შეიძლება! — გაბრაზდა დირექტორი.

— „ტუტუცი, მამაძაღლი და თაღლითი...“ — ჩურჩულით გაიმეორა პაჯზერეკმა.

— იქნებ, მან უბრალოდ „ხულიგანი“ თქვა? — იმედიანად შეეკითხა დირექტორი.

— ადვილი შესაძლებელია, „ხულიგანიც“ თქვა, — დათანხმდა დაუზარელი ხელქვეითი.

— ალბათ, მან გამოთქმაში, სიტყვა „თაღლითის“ მაგიერ, მხოლოდ „ხულიგანი“ იხმარა.

— არა, არა! ამაში ეჭვი ნუ შეგეპარებათ! სიტყვა „თაღლითი“ საგანგებოდ, რამდენჯერმე გავიმეორე, რომ არ დამავიწყებოდა. ეს ფრაზა მთლიანად ასე ეღერდა: „ეს თაღლითი ციხის ღირსია“.

დირექტორმა მძიმედ ამოისუნთქა.

— ზაგვოეძინსკიზე რაღაც იტყვი? — გაიხსენა მან, — მგონი, ჩემზე ისიც რაღაცას ყბედობს?

— არაფერი ვიცი, შვებულებაშია.

პაჯზერეკმა ბლოკნოტი ამოიღო და გადაშალა.

— „ბებერი ჩერჩეტი“, — ამოიკითხა მან, — უკვე მოგახსენეთ, ეს კოვალსკიმ თქვა. „კარგი იქნება, აქედან რომ გააძევებდნენ!“ — ეს მალინოვსკას სიტყვებია. „კრეტინი და უშნო ამპარტავანი“ კი — კულიკოვსკისა. „კარიერისტი“ საგემო განყოფილების ახალმა თანამშრომელმა გიწოდათ, მისი გვარი დამავიწყდა. აი, სულ ეს არის. მგონი, ყველაფერი გითხარითო.

დირექტორი მძიმედ სუნთქავდა.

— გმადლობთ, პან პაჯზერეკ!

— არაფრის, პან დირექტორო!..

პაჯზერეკი თითის წვერებზე შემდგარი გამოვიდა დირექტორის კაბინეტიდან. დერეფანში, როგორც ყოველთვის, თანამშრომლები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ. მიუახლოვდა თუ არა მათ, პაჯზერეკმა შეწუხებული სახით უთხრა:

— ჩვენი ქაჯი ისევ უხასიათოდ არის...

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ნახ. მ. აბაშიძისა

— ამომივიდა ყელში შენი ქალაქის პატრიოტობა! არ გნახო, აწი რამე თბილისური გეყიდოს!..

— ცოლის დასანახავად ოღონდ დახლისაკენ მომეცი და არ დავეძებ, თუნდაც თბილისური იყოს!

— მამიკო, რა ჰქვია, აი, იმას, გრძელი ცხვირი რომ აქვს, დიდი მუცელი და ძლივს რომ დადის?

— სპილო.

— სპილო კი არა, შენს ამხანაგზე გეკითხები!

ავტობუსში

— დეიდა, თქვენი ჭაღარა თუ ხელოვნური არ არის, დამითმია ადგილი!

თამაზ ჭეიშვილი

ქმარი: მორჩა! ჩვენს შორის დღეიდან შავმა კატამ ჩაიარა!
ცოლი: ვიდრე დედაჩემიც ჩაივლიდეს, მაგ სისულელეებს თავი დაანებე!

ზაზა კაციაშვილი

გამოცდაზე

— ჩაცმულობაზე გეტყობათ, ქალიშვილო, სწავლისთვის ვერ იცლით!

— კიდევ მკითხეთ რამე, ბატონო პროფესორო!..

— რა გკითხოთ? კეთილი... სად იშოვეთ ეგ დუბლიონკა?

* * *

— მომილოცეთ, ბატონო გიორგი, ჩემი წიგნი გამოვიდა...

— მე მაშინ მოგილოცავ, მაღაზიიდან როცა გამოვა!

გიგლა ბასბაძე

* * *

ავტობუსში ერთი მანდილოსანი ეუბნება მეორეს:

— რა უბერხულ მდგომარეობაში მაყენებს ის კაცი! მთელი ოცი წელია, ჩემთვის ალერსიანი მზერა არ მოუცილებია. ისე, კაცმა რომ თქვას, ვერც ვერაფრით დაიწუნებ. თვალდადი, ტანადი, ალბათ. განათლებულიცაა.

— კი, ისტორიკოსია.

— ავშენებულვარ და ეგ არის! თუკი ჩემი გაცნობა მოისურვა, ცხვირს ალარ ავიბზუებ. როგორც ადრე ვიცოდი ხოლმე.

— ოღონდ ერთი ნაკლი აქვს, ქალბატონო! — მიუგო თანამოსაუბრემ, — ორგანულად ვერ იტანს გამხდარ ქალებს.

— საინტერესოა, ასე ახლოს ხიდან იცნობთ? — ჰკითხა ნუენინ.

— ჩემი ქმარია!

მარო უაზურიშვილი

მიხეილ გოგიაშვილი

საღეგრძელო

(ნაცნობ მოტივზე)

ამ პატარა სასმისით მსურს, მასპინძელი ვადღეგრძელო!
ალავერდი, ვარდენ ძველო, ვარდენ ბრძენო, ვარდენ გრძელო!

უთბილესო, უტკბილესო, მარგალიტო, ბრილიანტო,
სულო, გულო, ოქროს ფულო, მილიონო, მილიარდი!

მიტომ კი არ გადღეგრძელებ, სტუმრებს კარგად რომ გაგეძღვე,
არც იმიტომ გადღეგრძელებ, კარგი სუფრა რომ გაგიწყვე!

არც იმიტომ გადღეგრძელებ, რომ ცოლი გყავს ნატვრისთვალი,
თქვენი სახით წარმომიდგა თვით იზოლდა და ტრისტანი!

ეს-ჭიქები აქ იმისთვის არ წკარუნობს და წკრიალებს,
შენი ცოლი ბრილიანტის ბეჭდებით რომ დაცქრიალებს.

მითქმა-მოთქმა მე არ მიყვარს, არც ყურს ვუგდებ ინტრიგანებს,
ის მახარებს, რომ შენს ცოლ-შვილს არ ატარებ ტიტლიკანებს!

არც იმიტომ გადღეგრძელებ, რომ ყველაზე კარგად ცხოვრობ,
არც მისთვის, რომ შენ, პურის ფულს, მეზობლებში არ ბოთხოვრობ!

მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ თითქოს და არმად ცხოვრობ,
თუ მე პირში გეთილისმო, მაშინ ღმერთმა არ მაცხონოს!

ქარხნის მუშა შენ არა ხარ, რომ დაზგებთან ჩერდებოდე,
გრდემლზე ეროს ურტყამდე და მარტო ხელფასს სჯერდებოდე!..

და არც ბრიგადირი არ ხარ, შრომის ვახტზე შენ დნებოდე,
მშენებელიც შენ არა ხარ, მშენებლობით შენდებოდე!

არც იმიტომ გადღეგრძელებ, რომ შენი ზნით ცას აშუქებ,
რომ შვილების პედაგოგებს ყოველ თვეში ასაჩუქრებ!

მე თავს, ძმაო, არ შეგაწყენ უთავბოლო ლათაიით,
შენ რომ ყოველ ტირაჟის დროს „ოლგებს“ „იგებ“ ლატარიით.

არც იმიტომ გადღეგრძელებ, ფხიანსა და მარჯვენყოჩაღს,
რომ ნახევარ განაკვეთით მეფესავით არჩენ ოჯახს!

გადღეგრძელებ მე შენ, როგორც ვაჟკაცსა და პატრიოტსა,
უსათუოდ სუფთა კაცს და უეჭველად პატიოსანს!

იყიდეთ თბილისური ფეხსაცმელი!

ღმერთმა ააშენოს თბილისის ფეხსაცმელების ფაბრიკის ამშენებლის ოჯახი. მისი დაარსებიდან დღემდე, ერთხელ გადახდილი საფასურით, ყოველთვე ახალ ფეხსაცმელს ვიცვლი.

არ გეგონოთ აფერისტი ან ქურდი ვიყო და ისე ვახერხებდე ამის გაკეთებას. ეს სრულიად უმტკივნეულო, ოფიციალური კომბინაციაა და მყიდველისაგან მოითხოვს მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნას (განცხადების დასაწერად).

მოგეხსენებათ, ზემოაღნიშნული ფაბრიკის ფეხსაცმელს თან მოსდევს ქვითარი, რომლის მაგიური ძალა იმაში მდგომარეობს, რომ თუ ფეხსაცმელი ერთი თვის განმავლობაში მწყობრიდან გამოვა, ფაბრიკა ვალდებულია შეგიცვალოს დახეული (ან დარღვეული, სულ ერთია) ფეხსაცმელი ახლით. ვინაიდან და რადგანაც მათ მიერ გამოშვებული ფეხსაცმელი არასოდეს არ ძლებს ერთ თვეზე მეტს, ფაბრიკის გარანტია მუდმივია.

ფეხსაცმელების გაფრთხილებაზე ლაპარაკი ზედმეტია, გაფრთხილება სჭირდება ქვითარს. ეს უკანასკნელი ფეხსაცმლით უზრუნველგყოფთ მთელი ცხოვრების მანძილზე. ჰოდა, ახლა მითხარით, თბილისის ფეხსაცმელს ჯობია იმპორტული? რაღა თქმა უნდა, აბა. იყიდეთ, მეგობრებო, თბილისურები, ამით თქვენ მშობლიურ ქალაქის პრესტიჟსაც დაიცავთ და ფეხსაცმელიც მუდამ ახალი გექნებათ.

ნ. ჭკუიხოლოფაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგუსტაციაზე

ნახ. დ. ერისთავისა

— ვეარ გავსინჯავ, დღეს მანქანით ვარ!



ნახ. გ. ფირცხალავასი

— უზომოდ რომ არ გეჭამა, ახლა დასაკლავად ხომ არ წაგიყვანდნენ?!



— იწვიმოს, ოღონდ მზრალი ანგარიშით არ წავსაგოთ!

— ჩქარა, წიქარა, ტახი გვეწევა!..
— სტადიონზე რომ ჰყიდიან, ის ნუგა გადაუგდე და კლდედ იქცევა ყველაფერი!

შეგონება

ორეულნული ბიბლიოთეკა

მეთევზისადმი

ხვალ სათევზაოდ
წავალთ, ძაღვა! მრავალი რამე
არის საჭირო,
დაიხსომე რჩევა ამგვარი:
დილის ბინდბუნდზე,
როცა ურთას გადავა ღამე,
შენ ფეხზე უნდა
ფუსფუსებდე, ადრე ამდგარი!

ჯოხი, კიდეგან
ბამბუკისა, იცი, არ ვარგა,
ანკესი ხელით
ნაკვერი სჯობს ანკესს ქარხნისას,
ძაფი — მაგარი,
ჭია — მსხვილი, ჰოდა, ჰაბარდა,
არ დაგავიწყდეს
წამოღება ოღონდ არყისა!

გზაში წუწუნი
და დუდუნი არ გავიგონო,
გეტყვი პირდაპირ:
მეთევზისთვის მუხლის სიმაგრე
არის მთავარი,
მე რამდენიც არა ვიღონო,
ვერას გიშველი,
თუ საკუთრივ აღარ ივარგე!
ეს ბარდღა ცოტა
დონდლოა და მიზეზიანი,
მის სიახლოვეს ნუ
ჩააგდებ ანკესს, იცოდე,
თევზი ფრთხილია
მდინარისა, ფოთლის შრიალიც
აფრთხობს ჟამი-ჟამ
და თავს შენსას ნუ გაიბოთებ,
თორემ სალაყბოდ
აგიღებენ და არასოდეს
არ წაგიყვანენ
მეტად... მაგრამ, რაც მთავარია,
გეტყვი პირდაპირ
და, ძმობილო, მარად გახსოვდეს:
თევზი არ არი
მდინარეში, კარგა ხანია!

მურმან ჯგუბურია

ნახ. გ. ლომვიძისა



მაგნატის — მაგნიტი

ნახ. ზ. ლეჟავასი

— ჩამოდი ახლა, მიჯე, დამელოდ!
— მიდი, მამიკო! აქედანვე უნდა შეგეგვიო!

ნახ. ვ. კუციასი



№ 302 74
6.V

ნიანგის ფოსტა

ქ. **გორიდან** გვატყობინებდნენ, რომ რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე მცხოვრებთა პურით მომარაგება დროულად არ ხდება. ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს საყოფაცხოვრებო მომსახურებაში.

რედაქციამ წერილი გადაუგზავნა საქ. კპ გორის საქალაქო კომიტეტს, საიდანაც პასუხი მივიღეთ: „შემოწმებამ ცხადყო, რომ რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა შეფერხებებს პურით ვაჭრობაში.

შემოწმებით დადასტურდა სერიოზული ნაკლოვანებები რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს საპარიკმახეროს მუშაობაშიც.

გორვაჭრობის დირექციამ 1973 წ. 20 ოქტომბრიდან დანიშნა ახალი ექსპედიტორი...

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსის 1973 წ. 18 დეკემბრის ბრძ. № 468-ით რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე არსებულ № 5 საპარიკმახეროს გამგეს ა. შოშიაშვილს გამოეცხადა სასტიკი საყვედური...

№ 5 საპარიკმახეროს ქალთა განყოფილების პარიკმახერებს: შავდათუაშვილს, ონიაშვილს, ნიკოგოსოვს, ბიძინაშვილს და ტარვერანოვს შრომის დისციპლინის დარღვევისა და საწარმოო გეგმების სისტემატური შეუსრულებლობისათვის გამოეცხადათ სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით“.

ჩატარებული ღონისძიებიდან ოთხ თვეზე მეტი გავიდა, ნიანგის რედაქცია იმედოვნებს, რომ მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდება.

კასპის რაიონის სოფ. ყარაღაჯიდან გვწერდნენ: განა საქართველოში არის ისეთი სოფელი, სადაც ელექტროგანათება არ არის? ქუჩაში ისეთი სიბნელეა, ღამე გზას ვერ გაიკელავ. წერილი გადაეგზავნა კასპის რაისაბჭოს აღმასკომს. აღმასკომმა გვიპასუხა: „...ჩვენი თხოვნით საქმთავარენერგოს გორის ელექტროქსელის ხელმძღვანელობამ (რომელიც ემსახურება ჩვენი რაიონის ელექტროენერგიით მომარაგებას) უკვე გაატარა საჭირო ღონისძიებანი, უახლოეს დღეებში სოფელ ყარაღაჯის არსებული ქუჩის განათება წესრიგში იქნება მოყვანილი“.

ქ. **ბორჯომის** მცხოვრებლები მოითხოვდნენ დაზიანებული აბანოს შეკეთებას და სრულ წესრიგში მოყვანას. რედაქციამ წერილი ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა, საიდანაც ასეთი პასუხი მივიღეთ: „...გაცნობებთ, რომ თქვენს წერილში მოყვანილი საჩივარი სინამდვილეს შეეფერება, შეკეთების შემდეგ აბანო მუშაობს და ემსახურება მოსახლეობას“.

ანალოგიური წერილი აბანოს შესახებ გადაეგზავნა პარტიის ახალციხის რაიკომს, მაგრამ, სამწუხაროდ, პასუხი არ მიგვიღია.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა ბორჯომის აბანოში, იქნებ კიდევ შეკეთება სჭირდება?

ხელვაჩაურის რაიონის სოფ. გონიოდან გვწერდნენ: ელექტროგანათება გვაქვს, მაგრამ ხშირად დაზიანებულია, სატელეფონო ქსელი გაყვანილია, მაგრამ ტელეფონები არ მუშაობს. ასეთი ელექტროგაყვანილობის და სატელეფონო ქსელის ქონებას, სჯობია არქონება. წერილი გადაეგზავნა ხელვაჩაურის რაისაბჭოს აღმასკომს, აღმასკომი გვპასუხობს: „რაისაბჭოს აღმასკომმა მკაცრად გააფრთხილა რაიონის ელექტროქსელისა და კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ხელმძღვანელები, რათა დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდებასა და სატელეფონო მომსახურებაში გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად“.

სარედაქციო კოლეგია: ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მალაფონია (მხატვ. რედ), გ. ნიუნანიძე (მთ. რედ. მოადგილე) ნ. ფალიძე, გ. ფირცხალავა, ო. ჭილინსი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ნ. ფალავანდიშვილი, ვ. ჯაშიძე, ნ. ოსიბაძე, ო. ცირკაძე, ო. ბირკელი, ნ. ქელეხსაშვილი.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გელაშვილი

ნახატი თემების ავტორები: ბი: ა. ადეიშვილი, კ. პატარაშვილი, ვ. მდივნიშვილი, ვ. ჯაშიძე, ნ. ოსიბაძე, ო. ცირკაძე, ო. ბირკელი, ნ. ქელეხსაშვილი.

⊙ ტექნიკური რედაქტორი ბ. ბალაბაშ ⊙ გადაეცა ასაწყობად 25/III-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IV-74 წ. ⊙ ქაღალდის ზომა 70×108 1/8 ⊙ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1. სასტრიქონო-საბეჭდი ანბანი 1,4 ⊙ სუბ. 1160. უე 01733. ტირაჟი 134.000 ⊙ Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ⊙ Издательство ЦК КП Грузии. ⊙ Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-82.

ნახ. ზ. ლეჟავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა
Инвент. 78137

— ქალაქში მაინც ზაფხული, რაიმე საქმეს მოკიდე ხელი!
— რას ამბობ, ხალხს იმას ვათქმევინებ, სოფელი მიატოვაო?!